საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/167

ქ. ბათუმი **21** ნოემბერი 2018 წელი

„ბსუ-ს 2018 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის 2018 წლის შემოდგომის და 2019 წლის გაზაფხულის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 15 ნოემბრის №01-08/163 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2018 წლის 15 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის (MES 1 18 01482053) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „ბსუ-ს 2018 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის 2018 წლის შემოდგომის და 2019 წლის გაზაფხულის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 15 ნოემბრის №01-08/163 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.1 2018 წლის სააუდიტორიო მეცადინეობები - 2018 წლის 29 ნოემბრიდან - 2018 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;“.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დაევალოს ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**